თურქეთში საბავშვო სურათის „სააღდგომო სასწაული – 2021“-ის საერთაშორისო კონკურსი დასრულდა

ა. ი. სოლჟენიცინას სახელობის რუსული ენისა და კულტურის შემსწავლელმა საზოგადოებამ (ქალაქი იზმირი, თურქეთის რესპუბლიკა) თურქეთის რესპუბლიკაში მოსკოვის საპატრიარქოს მორწმუნეების სულიერ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი მღვდლის გიორგი სერგეევის დამხარებით, საბავშვო შემოქმედების საერთაშორისო კონკურსი „სააღდგომო სასწაული – 2021“ ჩაატარა, რომელიც 2013 წლიდან იმართება.

კონკურსში 150 ადამიანი მონაწილეობდა – ბავშვები და მოზარდები 5-დან 17 წლამდე ბულგარეთიდან, რუსეთიდან, აშშ-დან, ტაჯიკეთიდან, თურქეთიდან, ესტონეთიდან და სამხრეთ კორეიდან. მონაწილენი

დაყოფილნი იყვნენ ოთხ ასაკობრივ ჯგუფად. კონკურსის გამარჯვებულებმა მიიღეს ფასიანი ჯილდოები და საჩუქრები.

კონკურსის შედეგების ნახვა შესაძლებელია მის ოფიციალურ საიტზე (**https://easter-miracle.com/ea2021-2**/).

Патриархия.ru*/ სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87368/